



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7

7 ნოემბერი 2019 წ.

დაბა ქედა

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

„ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №3 დადგენილებით (ვებგვერდი - www.matsne.gov.ge, 22/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.134.016247) დამტკიცებულ დანართში შეტანილი იქნას შემდეგი ცვლილება:

1. ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხა, თანამდებობრივი სარგოები - თანამდებობის პირთა და პროფესიულ საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელება და მათი იერარქიული რანგების ცხრილის „27-ე“ გრაფა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„27	III რანგი	მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ქონების საკითხებში	3	800“
-----	-----------	--	---	------

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავჯდომარე



შუქრი თურმანიძე